InterPressNews 11.09.2020

According to Gori municipality mayor's office, new water infrastructure system will be installed in Tsedisi, Bnavi and Olozi

According to Gori municipality mayor's office, installation of new infrastructure system is already in place in Tsedisi, Bnavi and Olozi.

According to them, the cost of the project is 1 048 993 GEL. After the completion of the works, up to 400 families will have water supply for 24 hours.

"All the three villages will get water from the same original water reservoir. But each village will have individual water distribution network – a water collection reservoir, chlorination facility and distribution network. We plan to install individual water meters too. At this point, all the three villages have old and dysfunctional systems, as a result of which local people get water with a schedule", - states the announcement.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/617781-goris-meriis-inpormaciit-cedisshi-bnavisa-da-olozshi-axali-sasmeli-cqlis-sistema-moecqoba

გორის მერიის ინფორმაციით, წედისში, ბნავისა და ოლოზში ახალი სასმელი წყლის სისტემა მოეწყობა

გორის მერიის ინფორმაციით, წედისში, ბნავისსა და ოლოზში ახალი სასმელი წყლის სისტემის მოწყობა მიმდინარეობს.

მათივე ცნობით, პროექტის ღირებულება 1 048 993 ლარია. სამუშაოების დასრულების შემდეგ 400 - მდე ოჯახს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება.

„სამივე სოფელი წყალს ერთი სათავე ნაგებობიდან მიიღებს. თოთოეული სოფელს კი მოემსახურება ინდივიდუალური სასმელის წყლის სისტემა - რეზერვუარი, საქლორატორო და შიდაგამანაწილებელი ქსელი. იგეგმება ინდივიდუალური მრიცხველებიც დამონტაჟდება. ამ ეტაპზე, სამივე სოფელი გაუმართავი და მოძველებული სისტემით სარგებლობს, რის გამოც ადგილობრივებს წყალი შეფერხებით მიეწოდებათ",-აღნიშნულია ინფორმაციაში.

InterPressNews 14.09.2020

A tender was announced in Telavi to build new water infrastructure

United Water Distribution company announced a tender to improve the water distribution system in Telavi. According to the Ministry of Regional Development and Infrastructure, application submission deadline is September 25. The approximate cost of the project is 8 493 000 GEL. “The planned works entail the rehabilitation of head reservoir of “Tsitsmatiani”, pumping station and planning and building of the magistral pipeline. The winning company has to prepare a plan in 5 months and finish actual work in 18 months. For the given moment, all the infrastructure is destroyed except for the drainage system in “Tsitsmatiani.” Tsitsmatiani head collector is dysfunctional since 90th. Because of absence of water canals, the pathways and majority of the territory is flooded. The existing first pumping station needs cleaning and a conservation. At this point Telavi residents get water with limited time. After the completion of the planned work, water debit will increase in Telavi, at the moment the residents of Telavi are being introduced to water meters and new wells are being dug too. Too put all the water system into order, one more big project is planned, which will provide non-stop water suplly to 30 000 residents of Telavi“, - states the official company announcement.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/618084-telavis-cqlis-inprastrukturis-proektireba-msheneblobaze-tenderi-gamocxadda

თელავის წყლის ინფრასტრუქტურის პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა

ქალაქ თელავის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ტენდერი გამოაცხადა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, წინადადებების მიღება 25 სექტემბერს დასრულდება. დაგეგმილი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება კი 8 493 000 ლარია.

„დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს „წიწმატიანის“ სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის, სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური წყალსადენის პროექტირება-მშენებლობას. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ პროექტი 5 თვეში უნდა მოამზადოს, სამუშაოები კი 18 თვეში დაასრულოს.

დღეის მდგომარეობით „წიწმატიანის“ ტერიტორიაზე არსებული ყველა ნაგებობა ამორტიზებულია გარდა დრენაჟისა. „წიწმატიანის“ წყლის სათავე ნაგებობა 90-იანი წლებიდან არ ფუნქციონირებს. წიწმატიანის ხევის წყლისამრიდი სისტემის უქონლობის გამო დატბორილია მისასვლელი გზა და ტერიტორიის დიდი ნაწილი. არსებული პირველი სატუმბი სადგური საჭიროებს გასუფთავებასა და კონსერვაციას.

ამ ეტაპზე, თელავის მოსახლეობას წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება. დაგეგმილი სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება წყლის დებიტი, პარალელურად თელავში აქტიურად მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მესამე ფაზის I ეტაპის სამშენებლო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ეწყობა ჭაბურღილები და მიმდინარეობს მოსახლეობის სრული გამრიცხველიანება. აღნიშნული პროექტების დასრულების შემდეგ, მოსახლეობას საგრძნობლად გაუუმჯობესდება წყლის მიწოდება. ასევე, თელავის წყლის სისტემის სრულად მოწესრიგებისთვის დაგეგმილია კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი, რომლის დასრულების შემდეგაც ქალაქში მცხოვრებ 30 000-მდე ადამიანს უწყვეტი წყალმომარაგება ექნება”,- აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

InterPressNews 16.09.2020

Two villages of Dedoplistskaro municipality – Zemo Machkhaani and Mirzaani will get non-stop water supply

Works are underway to provide regions of Georgia with non-stop water supply newtork. „Interpressnews“ was informed of this from United Water Distribution company. Accordint to them, United Water Distribution compay announced a tender to reveal a compamy which will work on rehabilitation of projecting-building of water distribution systems in Zemo Machkhaani and Mirzaani. According to the company, the tender application deadline ends on October 1, and the approximate cost of the project is 2,5 mln GEL. The company has to fisnih the works 18 months after signing the contract. At the given moment those two villages get water only once in three days, for two hours only. Within this work, new head water collectors, a well and a pumping station will be built. The existing pumping station and a reservoir will be rehabilitated too. After the completion of the works, a decade-long problem will be resolved and 4 700 residents will get non-stop water supply.

Source:

https://www.interpressnews.ge/ka/article/618479-dedopliscqaros-municipalitetis-soplebis-zemo-machxaanisa-da-mirzaanis-mosaxleobas-ucqveti-cqalmomarageba-ekneba

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების - ზემო მაჩხაანისა და მირზაანის მოსახლეობას უწყვეტი წყალმომარაგება ექნება



საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის დაგეგმილი პროექტების განხორციელება აქტიურად გრძელდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ტენდერი გამოაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების - ზემო მაჩხაანისა და მირზაანის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობაზე.

წყალმომარაგების კომპანიის ცნობით, ტენდერში მონაწილეობისთვის წინადადებების წარდგენის ვადა 1 ოქტომბერს სრულდება. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 2,5 მილიონ ლარზე მეტია. გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 თვეში უნდა დაასრულოს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, დღეის მდგომარეობით, წყლის დებიტის სიმცირის გამო, ორივე სოფლის მოსახლეობას წყალი სამ დღეში ერთხელ - 2 საათით მიეწოდება.

დაგეგმილი პროექტის ფარგლებში მოეწყობა წყლის ახალი სათავე ნაგებობები, ჭაბურღილი, სატუმბო სადგური. რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ სატუმბო სადგურის და რეზერვუარს. გამრიცხველიანდება მოსახლეობა.

დაგეგმილი სამუშაოების დასრულების შემდეგ ორივე სოფლის მოსახლეობას ათწლეულების განმავლობაში არსებული პრობლემა მოუგვარდება და 4 700 ადამიანს უწყვეტი წყალმომარაგება ექნება.

InterPressNews

17.09.2020

Several street residents in the city of Jvari will have new water infrustructure soon

United Water Distribution company has announced a tender to project and build water supply infristructure in two streets: Saakadze and Apakidze in the town of Jvari of Tsalenjikha municipality. United Water distrubution company has announced about it. Interested companies can submit their application until September 29. The winning company has to finish all the work in five months after signing the contract. „There is no cetralized water supply system on Saakadze and Apakidze streets in the town of Jvari. Within these works old pipes will be replaced with new ones, and a new water pumping station will be built which will provide 80 families wth 24-hour water supply. The project will get more than 520 000 GEL from the state budget," – was announced.

Souce:
https://www.interpressnews.ge/ka/article/618779-kalak-jvarshi-ramdenime-kuchis-mosaxleoba-cqlis-ganaxlebuli-inprastrukturit-isargeblebs

ქალაქ ჯვარში რამდენიმე ქუჩის მოსახლეობა წყლის განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში, სააკაძისა და აფაქიძის ქუჩების მიმდებარე უბნის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობისთვის ტენდერი გამოაცხადა. ამის შესახებ ინფორმაციას გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დაინტერესებულ პირებს ტენდერში მონაწილეობისთვის წინადადებების წარდგენა მიმდინარე წლის 29 სექტემბრამდე შეეძლებათ. გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთ თვეში უნდა დაასრულოს.

,,ქალაქ ჯვარში, სააკაძისა და აფაქიძის ქუჩაზე წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა არ არსებობს. სამუშაოების ფარგლებში ძველი, ამორტიზებული მილები შეიცვლება სრულიად ახლით, ასევე მოეწყობა სატუმბი სადგური, რომელიც დაახლოებით 80 ოჯახს განახლებული ინფრასტრუქტურით მოემსახურება და მათ 24-საათიან წყალმომარაგებას უზრუნველყოფს. პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 520 000 ლარზე მეტი," - ნათქვამია ინფორმაციაში.

InterPressNews 18.09.2020

29 188 subscribers got a melioration service payment waiver, the savings accounted for 3 347 589 GEL

To alleviate the economic burden caused by Covid-19, government of Georgia has created anti-crisis plan “Care for Villages and Farmers,” which entails significant subsidies in melioration. „Georgian Amerlioration“ company informs about this. According to them, farmers, who get irrigation and drainage service for up to 10 hectares of land, are waived of melioration services for 2020.
As of September 18, 29 188 subscribers were freed of the melioration service costs, thanks to the governmentn subsidy. The savings accounted for 3 347 589 GEL. Thanks to the government program „Care for Villages and Farmers,”water users were freed from water costs during 2020.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/619024-samelioracio-momsaxurebis-2020-clis-gadasaxadisgan-29-188-abonenti-gatavisuplda-danazogma-3-347-589-lari-sheadgina

სამელიორაციო მომსახურების 2020 წლის გადასახადისგან 29 188 აბონენტი გათავისუფლდა, დანაზოგმა 3 347 589 ლარი შეადგინა

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის შემსუბუქებისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით შემუშავებული სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“, მელიორაციის კუთხით მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს. ამის შესახებ ინფორმაცის „საქართველოს მელიორაცია“ ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ფერმერები, რომლებიც ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებას 10 ჰა-მდე მიწის ფართობზე იღებენ, 2020 წლის სამელიორაციო მომსახურების გადასახადისგან თავისუფლდებიან.

ამასთან, 18 სექტემბრის მონაცემებით, დაწესებული სახელმწიფო შეღავათით ისარგებლა და 2020 წლის სამელიორაციო მომსახურების გადასახადისგან გათავისუფლდა 29 188 აბონენტი. ბენეფიციართა დანაზოგმა 3 347 589 ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, წყალმომხმარებლებს სრულად ჩამოეწერათ 2020 წლამდე შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული დავალიანება.